პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

როგორ ავამაღლოთ მოტივაცია უფროსკლასელებში ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის
საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
დალი ქარცივაძე

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი

თავი I 1
საკვლევი საკითხის მიმოხილვა
1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

1.2. საკვლევი საკითხის ამოცნობა
1.3. კვლევისმიზანი
1.4. კვლევის ამოცანა
1.5. კვლევის ეტაპები

თავი II. 3
პრაქტიკული კვლევის არსი

თავი III. 4
3.1. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი IV 10
მეთოდოლოგია
4.1 რატომ არის მნიშვნელოვანი მასწავლებლის როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში
4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი
4.3. გამოყენებული მეთოდები
4.4. კვლევის გეგმა

4.5. მონაცემთა შეგროვება
4.6. კვლევის ვადები

თავი V 14
კვლევის შედეგები:
5.1. გამოკითხვის შედეგების ანალიზი
5.2. კვლევის მიგნებები

თავი VI 22
6.1. ინტერვენციის აღწერა
6.2 განხორციელებული ინტერვენციები
6.3 რეკომენდაციები
6.4 ინტერვენციის შეფასება

თავიVII 25
7.1 გაზიარება, რეფლექსია, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები
7.2 დასკვნა
7.3.დანართი1
7.4 დანართი2
7.5 დანართი3
7.6 გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

სკოლა საზოგადოების ის ინსტიტუტია, სადაც ხდება პიროვნების აღზრდა-განათლება და მომზადება ცხოვრებისეულ პრობლემებთან გასამკლავებლად. სკოლის მთავარი მისიაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, დადგენა იმისა თუ რა საჭიროებები და რა ინტერესები აქვს მას, რა წარმოადგენს მისთვის მოტივაციის წყაროს და სხვ. ჩემი აზრით სკოლაში ხარისხიანი სწავლება დამოკიდებულია არა მარტო მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე და ცოდნის ხარისხზე, არამედ იმაზე თუ როგორ გადავცემთ მოსწავლეებს ცოდნას და დავეხმარებით ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარების გზების ძიებაში, როგორ დავაინტერესებთ მათ კონკრეტული დისციპლინით და როგორ შევაყვარებთ საგანს.

სწავლა-სწავლებაში საწყისი წერტილი არის მოსწავლეთა მზაობა და მოტივაცია. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ მოსწავლეს, მის ფსიქოლოგიას, შესაძლებლობებსა და ინტერესებს და ამაზე დაყრდნობით უნდა შეიმუშაოს სასწავლო მეთოდები, რომელსაც მოარგებს მოსწავლეთა ინტერესებს და წარმართავს საგნის სწავლებას, რადგან ვფიქრობ, რომ სწორად შერჩეული სტრატეგიები განსაზღვრავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განახორციელა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა დალი ქარცივაძემ.

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1.მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლაში. სკოლა არის ცხრაწლიანი, სკოლას ყავს მიერთებული დაწყებითი სკოლა. ორივე სკოლაში ერთად ირიცხება 25 მოსწავლე, აქედან 15 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 10 მოსწავლე საბაზო საფეხურზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხური განსაზღვრულია I-VI კლასის ჩათვლით. სწავლება I-IV კლასებში არ მიმდინარეობს საგნობრივად, ძირითადი დატვირთვა მოდის კლასის დამრიგებელზე, იგი ასწავლის ქართულს, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, ხელოვნებასა და სპორტს. მუსიკას და უცხო ენას კი ჰყავ.ს სხვა მასწავლებლები. ხოლო V-VI კლასებში და საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს საგნობრივად.

სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა 13 მასწავლებელი, აქედან 3 უფროსი მასწავლებელი დანარჩენი პრაქტიკოსი მასწავლებელი. სკოლაში მუშაობს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომლებიც გადიან ტრენინგებს და თანამშრომლობის ფარგლებში პერიოდულად თავადაც აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მასწავლებლებს. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, და სხვა სასწავლო რესურსებით, რაც საშუალებას იძლევა ხარისხიანად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

1.2. საკვლევი საკითხის ამოცნობა

2003 წლიდან ვმუშაობ სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. ამ წლების განმავლობაში ბევრი თაობა აღგვიზრდია მე და ჩემს კოლეგებს, მითანამშრომლია, როგორც უფროს, ისე თანატოლ და უმცროს კოლეგებთან, მიმიღია მათგან ბევრი სასარგებლო გამოცდილება და ამავდროულად გამიზიარებია მათთვის ჩემი გამოცდილება. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებისას, კათედრების საქმიან სხდომებზე თუ შესვენების პროცესში ხშირად მომისმენია მათგან უმეტესად ერთიდაიგივე საუბრები: „მოსწავლეებს აღარ აინტერესებთ სწავლა, არ აქვთ მოტივაცია“ და სხვა მსგავსი შინაარსის ფრაზები. მართლაც ვაკვირდებოდი და აღმოვაჩინე რომ მოტივაციის პრობლემამ მოიმატა ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი იკვეთება ეს პრობლემა საბაზო საფეხურზე გადასვლის შემდეგ. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები შედარებით მოტივირებული არიან ვიდრე საბაზო საფეხურზე. როგორ ავამაღლოთ სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაცია? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიება გახდა ჩემი კვლევის საფუძველი, კერძოდ, გადავწყვიტე საბაზო საფეხურის (VII,VIII,IX) კლასებში მომუშავე მასწავლებლებთან, საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან განმეხორციელებინა კვლევა თემაზე: „როგორ ავამაღლოთ მოტივაცია უფროსკლასელებში ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით“ .

1.3. კვლევის მიზანი

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია გამოვავლინო საბაზო საფეხურის მოსწავლეებში დაბალი მოტივაციის მიზეზები და დავსახო გზები ამ პრობლემის/ების აღმოსაფხვრელად, რის შედეგადაც მოსწავლეებში მოიმატებს მოტივაციის დონე ისტორიის საგნისადმი და შესაბამისად სწავლის ხარისხიც.

1.4.კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა ვიპოვო პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1.რა იწვევს საბაზო საფეხურზე ისტორიის სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას?

2.რა ნაბიჯები უნდა გადავდგა მე ამ პრობლემის მიზეზების დასადგენად

3.რა უნდა მოიმოქმედოს მასწავლებელმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად

1.5.კვლევის ეტაპები

1.ა. კვლევისათვის კითხვარების შემუშავება;
ბ .მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი;
გ. მოსწავლეთა გამოკითხვა ანკეტირება;
2.ა. მშობელთა გამოკითხვა-ანკეტირება;
ბ. მშობელთა მოსწავლეზე დახმარების ხარისხის დადგენა და ანალიზი;
3.ა.მასწავლებელთა გამოკითხვა-ანკეტირება;
ბ. მასწავლებლის როლის დადგენა პრობლემის გამოწვევა-მოგვარებაში და ანალიზი;
4.საერთო კვლევის შედეგების ანალიზი;
5. განხორციელებული აქტივობების და ღონისძიებების შედეგების გაცნობას კოლისათვის.

თავი II.
პრაქტიკული კვლევის არსი

ვიდრე კვლევას დავიწყებდე გავესაუბრე კოლეგებს, მაინტერესებდა მოვახერხებდი თუ არა მათთან თანამშრომლობას კვლევის განხორციელების პროცესში, რომელიც შეეხებოდა საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ისტორიის სწავლებისას მოტივაციის ნაკლებობის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ამ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებას, რადგან

კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას, მკვლევრებისა და არასპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. ვინაიდან მხოლოდ თანამშრომლობით, აზრთა გაცვლითა და ურთიერთდახმარებითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა. მათთან საუბრისა და დირექტორთან კონსულტაციის შემდეგ ჩამოვაყალიბე კვლევის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა:

- VII,VIII,IX - კლასების მოსწავლეები (სულ10 მოსწავლე);
- საბაზო საფეხურის კლასებში მომუშავე მასწავლებლები(სულ 10

მასწავლებელი);

- საბაზო საფეხურის მოსწავლეების მშობლები (სულ 10)

თავი III .
ლიტერატურის მიმოხილვა.

სწავლა განისაზღვრება, როგორც ადამიანის ამა თუ იმ სტრუქტურის, სფეროსა თუ შესაძლებლობის ისეთი ცვლილება, რომელიც არაა გამოწვეული არც განვითარების ბუნებრივი კანონზომიერებით და არც რაიმე დარღვევით. ეს ცვლილებები დაკავშირებულია შეძენილ გამოცდილებასთან, ჩვევებთან და ცოდნასთან.

მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, არამედ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტი. მათ შორისაა მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოების ხარისხი, სასწავლო გეგმა და ა.შ. მოსწავლის სწავლაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სწავლის მოტივაცია.

სწავლის მოტივაცია არის ტენდენცია, განახორციელო მნიშნელოვანი და ღირებული აკადემიური აქტივობები და მიიღო მათგან სარგებელი.

არსებობს სასწავლო აქტივობის მამოძრავებელ ძალთა ორი სხვადასხვა წყარო - შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. თუ კი სასწავლო ქცევა აღძრულია მხოლოდ მოსწავლის ინტერესით, ცნობისმოყვარეობით და არა გარემოდან რაიმე წნეხით თუ იძულებით, ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ქცევა წარმართულია შინაგანი მოტივაციით. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლის სასწავლო ქცევის მიზეზი გარემოდან მომდინარეობს, მაგალითად, იძულება, სირთულისგან ან უსიამოვნებისგან თავის არიდება, ჯილდოს მიღება და ა.შ. მაშინ ამგვარ ქცევას გარეგანი მოტივაციით წარმართული ეწოდება.

როგორც შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს შემეცნების მოთხოვნილება მნიშნელოვანი საფუძველია სწავლისას, მაგრამ ის ვერ იქნება ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ბავშვის მთელი სასწავლო

აქტივობისთვის, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ შესასწავლი მასალა ძალიან დიდია და თან მისი მხოლოდ ცალკეული ნაწილია ბავშვისთვის საინტერესო. შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, სწავლა მარტო შემეცნების მოთხოვნილებით წარმართული რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა თვითმიზნური, მაგალითად როგორც თამაში, ხოლო სწავლის შედეგებს (შეძენილ ცოდნას, უნარებს) არავითარი ღირებულება არ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, სწავლისთვის, შინაგანი მოტივაციის გარდა, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგან მოტივაციასაც. სასწავლო აქტივობა წარმართულია როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მოტივაციით, ხშირ შემთხვევაში კი ორივე ერთდროულად გვხვდება. სკოლაში ბავშვს თანდათან უყალიბდება და უმყარდება ცოდნის ცხოვრებისეული საჭიროების შეგრძნება, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შეგრძნება არ იყოს გავრცელებული ცოდნის ყველა სფეროზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც არის სწავლის გარეგანი მოტივაციის ერთერთი შემადგენელი, აღნიშნავს შ. ჩხარტიშვილი.

საკუთარი შესაძლებლობების რწმენა უფრო მეტად უზრუნველყოფს სწავლის მოტივაციას, ვიდრე ამ შესაძლებლობების რეალური დონე. მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს მაღალი კოგნიტური შესაძლებლობები, მაგრამ არ ჰქონდეს სწავლის მოტივაცია. ამავე დროს,

მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონდეს მაღალი კოგნიტური შესაძლებლობები, მაგრამ თუ

„მე შემიძლიას“ დონე მაღალია, მოსწავლე ისწავლის დიდი სიამოვნებით. ასეთი მოსწავლეები თავს კარგად გრძნობენ სკოლაში, იმდენად, რამდენადაც ისინი თავს წარმატებულად აღიქვამენ.

ჩვენ შეგვიძლია მიზანმიმართულად გავზარდოთ „მე შემიძლიას“ დონე, მხარდაჭერის ტექნიკების გამოყენებით.

მხარდაჭერის ტექნიკები:

1.განიხილეთ შეცდომები ნორმალურ და საჭირო მოვლენად

შეცდომის დაშვების შიში ძალიან ამცირებს „მე შემიძლიას“ დონეს. როცა ეს შიში ქრება, მოსწავლე იწყებს უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენას საკუთარ თავში.

ისაუბრეთ შეცდომების შესახებ. ბავშვი ხშირად საკუთარ შეცდომებს უფრო ხედავს, ვიდრე სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებს. აქედან გამომდინარე მას უჩნდება რწმენა, რომ მის გარშემო ყველა უფრო უკეთესია.

მოუყევით მოსწავლეებს თქვენი შეცდომების შესახებ. საიდუმლოს გახსნით მოსწავლეების წინაშე, დაეხმარებით მათ, გაითავისონ აზრი, რომ შეცდომა. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ნორმალური ნაწილია.

აჩვენეთ შეცდომების ღირებულება. უთხარით მოსწავლეებს, რომ რაც უფრო მეტ შეცდომებს უშვებს ადამიანი, მით უფრო აქტიურია ის, ხოლო აქტიურობას კი ყოველთვის მიესალმებიან. ისაუბრეთ დაშვებულ შეცდომებზე ენთუზიაზმით. მაგალითად: - შეცდომა უკვე დაშვებულია. მერე რა მოხდა?! ახლა დააკვირდი, რისი სწავლა შეგიძლია მისი მეშვეობით.

შეამცირეთ დაშვებული შეცდომების რაოდენობა. თუ თქვენ გსურთ მოსწავლეების თვითშეფასებისა და თვითეფექტიანობის გაზრდა, სცადეთ, შეცდომებზე მუშაობისას შემოიფარგლოთ ერთ ჯერზე, მხოლოდ ერთი ან ორი შეცდომის გასწორებით. ამით გაცილებით მეტს მიაღწევთ, ვიდრე მაშინ, როცა მოსწავლეები ხედავენ აწითლებულ ნაშრომს და ეკარგებათ სწავლის მოტივაცია, თუნდაც შეცდომის გასწორების მოტივაცია.

2.ჩამოუყალიბეთ წარმატების რწმენა.

ხაზი გაუსვით ნებისმიერ უკეთეს შედეგს. მეტი ყურადღება დაუთმეთ სწავლის პროცესს, ვიდრე შედეგს და ხაზი გაუსვით მოსწავლის მიერ წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

აღმოაჩინეთ თქვენი ,მოსწავლის ძლიერი მხარეები. ყოველ მოსწავლეს აქვს რაიმე ზლიერი მხარე. შეამჩნევთ თუ არა ღირებულს, მაშინვე უთხარით მას ამის შესახებ.

გამოავლინეთ რწმენა საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობების მიმართ. ამაში დაგეხმარებათ შემდეგი ტიპის კომენტარები: - „შენ იმ მოსწავლეთა რიცხვს მიეკუთვნები, რომელთაც შეუძლიათ ამის გაკეთება“ ან „მე ვიცი , რომ შენ შეძლებ ამის გაკეთებას“ და არასდროს უთხრათ მათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სიმართლეა: - „შენთვის ესეც კი არ არის ცუდი შედეგი“. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი „მოტივაცია“ გვ.43, 44, 52 ,53, 54).

მართლაც ვფიქრობ, რომ მასწავლებელი რაც უფრო შემოქმედებითად მიუდგება მოსწავლეებს, გაითავისებს, რომ მოსწავლეც ადამიანია და დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალების გაცნობიერებაში, არ დათრგუნავს მოსწავლეს არასწორი პასუხის გაცემის გამო და შეუქმნის მოსწავლეებს თანასწორუფლებიან და კომფორტულ ატმოსფეროს, ის აუცილებლად წაახალისებს მოსწავლეთა მოტივაციას საგნის მიმართ.

მოსწავლის სასწავლო აქტივობები განპირობებული უნდა იყოს შინაგანი მოტივაციით (ცნობისმოყვარეობა, ინტერესი და ა.შ.). ასეთ დროს მოსწავლისათვის თავად აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯილდო. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოთხოვნილება - ინტელექტუალური (ცნობისმოყვარეობა) მოთხოვნილება ე.წ სწავლის წყურვილში გადაეზარდოს.

ცნობისმოყვარეობის (ინტერესის) გაღვიძება მოსწავლეებში

რეკომენდაციები:

- გამოავლინეთ მოსწავლეთა ინტერესები, ჰობი, მათთვის საინტერესო საქმიანობა, რომელიც გაკვეთილებსა და დისკუსიებში შეიძლება იქნას ჩართული.
- ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა შორის ურთიერთობას, რათა მათ ერთმანეთს გაუზიარონ პირადი გამოცდილება და მეტი გაიგონ ერთმანეთის ინტერესებზე.
- გამოავლინეთ კლასის ექსპერტები სხვადასხვა საქმიანობაში (ვინ იცის, როგორ ავაგოთ კომპიუტერით გრაფიკები? როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია ინტერნეტში?).
- უფლება მიეცით მოსწავლეებს, გააკეთონ არჩევანი თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით.
- ჩართეთ სწავლების პროცესში იუმორი, პიროვნული გამოცდილება, ანეკდოტები, რაც ხელს შეუწყობს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.
- მოუყევით მოსწავლეებს თქვენი საკუთარი ინტერესების, ჰობის შესახებ.
- გამოიყენეთ საინტერესო შინაარსისა და დეტალების შემცველი მასალა.
- შექმენით სიურპრიზების მოლოდინისა და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სიტუაცია.

ვფიქრობ და ეს ყველა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ „მკაცრი მასწავლებლის იმიჯი“ წარსულს ჩაბარდა. რაც უფრო გულწრფელი, აქტიური და ხალისიანი იქნება მასწავლებელი გაკვეთილზე, მოსწავლეებისგანაც იგივეს მიიღებს. ხშირად გამიგია მშობლებისგან, რომ - „ რა დავალება მიცა მასწავლებელმა ვერ დავაწერინე“. ჩვენ ხომ მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას და არა მშობლებს. შესაბამისად დავალება უნდა ემსახურებოდეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებას და არა „ახალი ამერიკის აღმოჩენას“, ეს რათქმაუნდა ხუმრობით, მაგრამ ნებისმიერი დავალება უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობებზე მორგებული. ამ საკითხის შესახებ დ. უზნაძე მოღვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდში მიუთითებდა, რომ მასალა, რომელიც მოსწავლეს ეძლევა სწავლების პროცესში შესასწავლად, არ უნდა სცილდებოდეს ბავშვის ინტერესების სფეროს. შემდგომში ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მართალია, სასწავლო მასალა მოზარდის აზროვნების ფსიქოლოგიურ წესს უნდა მისდევდეს, მის ძალთა განვითარების დონეს უნდა შეესატყვისებოდეს, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითებს, რომ იგი რამდენადმე მაინც წინ უნდა უსწრებდეს განვითარების დონეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი წინსვლა და როგორ გახდება იგი განვითარების უფრო მაღალ დონეზე ასვლის პირობა? - კითხულობს დავით უზნაძე (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია, გვ.23, 24, 26, 27).

პრობლემის არსებობის შემთხვევაში აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსში მშობლები დაუკავშირდით მათ პრობლემების გამწვავებამდე. მშობელზე უარყოფითად მოქმედებს, როცა ხედავს, რომ პრობლემა დიდი ხანია არსებობს და მან ახლა გაიგო (სასწავლო და პროფესიული გარემო. ნაწილი 3. გვ. 130).

მშობლებისა და მასწავლებლების კარგი ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, რომ პერიოდულად მიიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

შექება რომ ნებისმიერი ადამიანისთვის კარგი მოსასმენია და ის დიდ გავლენას ახდენს როგორც პიროვნების განწყობაზე, ისე მის ქცევებზე, ამის შესახებ ნარგიზაშვილი მოგვითხრობს:

,,მოლოდინები ზემოქმედებენ ბავშვის ქცევებზე, ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით (MILLEZ,1975) დამტკიცდა, რომ ის ბავშვი, ვისაც სისტემატურად აქებდნენ აკურატულობის, პასუხისმგებლობის გამო, ცდილობდნენ გაემართლებინათ მოლოდინი და ყოფილიყვნენ აკურატულები, კეთილები და დამჯერები. ნუ დაიშურებთ კეთილ, თბილ სიტყვებს ბავშვებისათვის". (ნარგიზაშივლი 2011. 1 :78)

ყველა მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება. ამ მიზანს კი, სწორად შერჩეული, საინტერესო და მათ შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით მივაღწევთ. მოსწავლეებს ყველაზე მეტად იმ დავალებების შესრულება მოსწონთ, რომელიც კარგად გამოსდით, ასეთ შემთხვევაში ისინი თავს კარგად გრძნობენ და საკუთარ შესაძლებლობებში რწმუნდებიან. „მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის" (ესგ.2011-2016).

ვიხელმძღვანელეთ რა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურით ,,სწავლება და შეფასება'' 2008 წელი. კიდევ ერთხელ გავიაზრეთ რომ მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალება რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს არის: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო, მასწავლებლის მოთხოვნები. ქ. თოფაძის აზრით მასწავლებელი მოვალეა კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს მოსწავლეებთან. კვლევები გვიჩვენებს რომ მოსწავლეები რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი კეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს.

კარგმა მასწავლებელმა იცის რომ ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის გუნდური თანამშრომლობა, დაცულობა, პიროვნული ღირსებების შეფასება. როცა ბავშვები სკოლაში თავს სტუმრად არ გრძნობენ ნებისმიერ სამუშაოს ითავისებენ. (გვერდი 10.16)

ცვატა ბერძენიშვილი თავის სტატიაში ,,სტრატეგიების სწავლის მოტივაციის გასაზრდელად'' წერს რომ აქტივობები დაკავშირებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესთან , გამოიწვიოს მათი ცნობისმოყვარეობა. ბევრი გაკვეთილი შეიძლება წარიმართოს სიმულაციების და თამაშების გზით. საჭიროა მრავალფეროვნება გაკვეთილის დაგეგმვის დროს, ამასთან დავალებები გამომწვევი უნდა

იყოს მაგრამ ადეკვატური, თუ დავალება მეტისმეტად მარტივია ან მეტისმეტად რთული მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ. (ცვატა ბერძენიშვილი 2015 წელი ,,სტატიები სწავლის მოტივაციების გასაზრდელად'' http://mastsavlebeli.ge/?p=1528)

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას დიდი დახმარება გაგვიწია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი" ნაწ. 2 იგი საუკეთესო რესურსია მასწავლებლებისათვის, სადაც დეტალურადაა გაწერილი კვლევისათვის საჭირო ნაბიჯები და ეტაპები.

საინტერესო იყო სოფიო ლობჟანიძის სტატია "როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები", რომელიც იძლევა კვლევის ჩასატარებლად საჭირო პროფესიულ რჩევებს. მისი აზრით „პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო სირთულეების გადასალახად კი არ არის საჭირო, არამედ იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარების განსავითარებლად.

თავი IV.

მეთოდოლოგია

4.1. რატომ არის მნიშვნელოვანი მასწავლებლის როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის?

მოტივაცია არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. ის იძლევა პასუხს კითხვაზე - რატომ? (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი „მოტივაცია" გვ. 7).

ნებისმიერი ასაკის ადამიანის მამოძრავებელი ძალა არის მოტივაცია. იმისათვის რომ წამოვიწყოთ, ან ჩავერთოთ რაიმე საქმიანობაში, უნდა გვქონდეს ამის ხალისი, ანუ მოტივი. სასწავლო პროცესში თუ არ, ან ვერ მოვახდინეთ მოსწავლეთა დაინტერესება, არ იქნება ჩართულობის ხარისხი მაღალი და შესაბამისად ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს.

მოსწავლეთა მოტივაციაზე შეიძლება უამრავი ფაქტორი ახდენდეს გავლენას, როგორც სკოლის (თანატოლების, მასწავლებლების, საკლასო გარემო, სასწავლო მასალის და სხვ.), ისე სკოლის გარეთ (ოჯახი, საზოგადოება და სხვ.) ფაქტორები.

ჩემი მუშაობის პროცესში ბევრი დაკვირვება ჩამიტარებია მოსწავლეებზე და აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეები ისეთ რამეებზე ამახვილებენ ყურადღებას, რასაც მოზრდილი ადამიანი ვერ წარმოიდგენს, კერძოდ: მასწავლებლის ჩაცმულობაზე, საუბარზე, თმის ვარცხნილობაზეც კი. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ რაც უფრო ესთეტიურად გამოიყურება მასწავლებელი, რაც უფრო მეგობრულია ბავშვების მიმართ, მით უფრო უყვართ ბავშვებს ასეთი მასწავლებელი და უფრო მეტად მონდომებულები არიან მათ გაკვეთილზე, ვიდრე ისეთ მასწავლებელთან, რომელიც ძველ სტერეოტიპებს არ ღალატობს და სიმკაცრეს იჩენს ბავშვებთან(არის უკარება და აქვს მკაცრი იმიჯი). აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მასწავლებლის როლი სწავლებისას მოსწავლეთა მოტივირების მხრივ ძალიან დიდია, რადგან როცა მოსწავლეების პირისპირ დგახარ, შენ თვითონ უნდა იყო მათთვის სამაგალითო ქცევითაც, ურთიერთობითაც და რაღათქმაუნდა საგნის ფლობითაც.

4.2. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფში შედიოდნენ საბაზო საფეხურის 10 მოსწავლე (მათ შორის 6 გოგონა, 4 ვაჟი), საბაზო საფეხურზე მომუშავე 10 მასწავლებელი, მოსწავლეთა მშობლები.

4.3.გამოყენებული მეთოდები

თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები

4.4. კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება

- ჩართული დაკვირვება
- არაფორმალური გასაუბრება (ინტერვიუ)
- ფოკუსჯგუფი
- ანკეტირება.

4.5.მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ჩართული დაკვირვება - ამ მეთოდის გამოყენებით ვაკვირდებოდი მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო აქტივობის პროცესში (ექსკურსია, სასკოლო და სკოლისგარეთ კონკურსებში და ოლიმპიადებში მონაწილეობისას, სხვადასხვა მეთოდებით ჩატარებულ გაკვეთილზე), რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობას ექსკურსიებზე წასვლა აინტერესებს უფრო გართობის, ვიდრე შემეცნების მიზნით. ოლიმპიადებში ან კონკურსებში მოსწავლეთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობას, ვიდრე ინდივიდუალურს. გაკვეთილზე მოსწავლეებს არ მოსწონთ ერთფეროვანი გარემო და ყოფილა შემთხვევა, რომ მოსწავლეს მოუთხოვია ისტორიის გაკვეთილის სკოლის ეზოში ჩაგვეტარებინა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გამოვიტანე დასკვნა, რომ მოსწავლეებს არ მოსწონთ ერთფეროვნება. ეს შეეხება საკლასო გარემოს, რესურსს, სწავლების მეთოდებს და სხვას. რაც შეეხება კონკურსებს ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სულ სხვა პრობლემასთან. მოსწავლეების მონდომება, მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალურ კონკურსებში, შეჯიბრებებში და სხვა მსგავს ინტელექტუალურ თამაშებში, მცირდება, ვინაიდან აქვთ წარუმატებლობის შიში და შესაბამისად მცირდება მოტივაციაც, ხოლო ჯგუფურ თამაშებში და კონკურსებში აქტიურად ერთვებიან.

აქედან გამომდინარე მასწავლებლებს ბევრი გვაქვს სამუშაო ამ პრობლემების დაძლევის კუთხით.

არაფორმალური გასაუბრება - ეს მეთოდი გამოვიყენე მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრისას, რაც დამეხმარა გამეგო, თუ რა როლს ასრულებს ოჯახი და მშობლები ბავშვისთვის სასწავლო გარემოს შექმნასა და სწავლაში დახმარების კუთხით, რა უნარები აქვთ განვითარებული მათ შვილებს და სხვა.

ფოკუს ჯგუფი - ეს მეთოდი დამეხმარა მასწავლებლებთან, თანამშრომლობითი კუთხით შეხვედრების დროს, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმ მასწავლებლების გამოცდილებების გაზიარება, რომლებიც ასწავლიან საბაზო საფეხურის მოსწავლეებს.

მონაცემთა შეგროვების ზემოთ აღნიშნული მეთოდები დამეხმარა შემდგომში მიღებული ინფორმაციებიდან გამომდინარე შემედგინა კითხვარები.

ანკეტირება:

კითხვარები მოვამზადე: მოსწავლეებისთვის(დანართი1), მასწავლებლებისთვის (დანართი2), მშობლებისთვის (დანართი3).

4.6. კვლევის განრიგი/ვადები

N	აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	კვლევის სტრუქტურის გაცნობა	✓									
2	გაკვეთილზე დაკვირვება		✓								
3	ლიტერატურის გაცნობა	✓			✓	✓					
4	საკვლევი თემის მიმოხილვა, კითხვარის მედგენა, დამუშავება და გამოკითხვა. მიღებული		✓								

	შედეგების ანალიზი										
5	ინტერვიუ პედაგოგებთან			✓							
6	ინტერვენციების განხილვა და განხორციელება			✓							
7	ინტერვენციების შედეგების ანალიზი			✓	✓	✓	✓	✓			
8	შედეგების გაცნობა/პრეზენტაცია სკოლის პედაგოგებთან რეკომენდაციები									✓	✓

თავი V.

კვლევის შედეგები

5.1.გამოკითხვის შედეგების ანალიზი:

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

1.არის თუ არა პედაგოგებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?



2.არის თუ არა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები გამოყენებული?



3.თვლით თუ არა, რომ თქვენი შეფასება ობიექტურია?



4.რომელი საგნის სწავლებას ანიჭებთ უპირატესობას?



5. რა გიშლით ხელს სწავლაში?



კითხვაზე რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში მოსწავლეებმა დაწერეს შემდეგი: სიზარმაცისგან თავის დაღწევა, საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამები, საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები, წახალისება მასწავლებლებიდან , საინტერესო სახელმძღვანელოები, მასწავლებლები უნდა იყონ ხალისიანი, საინტერესოდ ახსნილი გაკვეთილები.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები:

1.იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლების საშუალებებს?



2.აძლევთ თუ არა მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს?



3.რთავთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების სქემების შემუშავებაში?

-19-



ღია კითხვაზე რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზები მასწავლებლები პასუხობენ, რომ მთავარი მიზეზი განათლების სისტემაშია, ვრცელი საპროგრამო მასალა და მცირე კვირეული დატვირთვა ამ საგნებში იწვევს მოსწავლეთა უინტერესობას, მოსწავლეები არ არიან დარწმუნებული თავიანთ შესაძლებლობებში და ერიდებიან საკუთარი აზრის გამოთქმას, მშობლების გულგრილი დამოკიდებულება შვილების სწავლის მიმართ, მოსწავლეთა გაზრდილი უფლებები და დავიწყებული მოვალეობები.

შემდეგ კითხვაზე როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები წერენ: გაკვეთილზე გამოვიყენოთ საინტერესო და სახალისო აქტივობები, წავახალისოთ მოსწავლეები, გავუღვივოთ ცნობისმოყვარეობა, გაკვეთილები დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით, ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან და მშობლებთან, დავგეგმოთ უფრო მეტი პრაქტიკული და მრავალფეროვანი აქტივობები. აღნიშნული აქტივობები მართლაც შეესაბამება
თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს, თუმცა მათი ხშირი გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან წინასწარ ჭირდება სასწავლო რესურსის მომზადება.

მშობლების გამოკითხვის შედეგები:

1.არის თუ არა მშობლებსა და პედაგოგებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული?



2.იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისგან?



4.თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი წინა წლებთან შედარებით



ღია კითხვაზე რა შეიძლება იყოს საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი, მშობელთა ნაწილი ასახელებს: სიზარმაცეს, გონება გაფანტულობას, ნაწილი თვლის, რომ სასწავლო პროცესი ერთფეროვანია. მცირე ნაწილმა დაასახელა ზოგიერთი მასწავლებლების მხრიდან მათი შვილის არაობიექტური შეფასება, რაც უკარგავს მოსწავლეს სწავლის მოტივაციას.

5.2. კვლევის მიგნებები

შედეგების განხილვა

კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად მიგნებულია პრობლემა: მოსწავლეების უმრავლესობას აქვს დაბალი მოტივაცია ისტორიის გაკვეთილისადმი, რომელიც მათი თქმით გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით: მასწავლებლის როლი მოტივაციის ამაღლების კუთხით, შეფასებისას არაობიექტურობა, მრავალფეროვანი აქტივობების სიმცირე, წამახალისებელი ჯილდოს ნაკლებობა. ნაკლები ჩართულობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, გაწელილი და ძნელად აღსაქმელი სასწავლო მასალა(თარიღების სიმრავლე), მშობლების პასიურობა.

თავი VI.

6.1.ინტერვენციის აღწერა

მონაცემთა ანალიზის დადგენის შემდეგ გადავწყვიტე:

ა. გავეცანი მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ლიტერატურას;

ბ. შევიმუშავე მოტივაციის ამაღლებისათვის საჭირო სტრატეგიები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დავიწყე სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეები ჩავრთე საგნობრივ ოლიმპიადებში, გაკვეთილებზე გამოვიყენე თემის შესატყვისი ვიდეომასალები(ფილმები), გაკვეთილის საჭიროებებიდან გამომდინარე გამოვიყენე ინფორმაციის მოპოვება- შეგროვების ახალი მეთოდები, დავგეგმე ინტელექტუალური თამაშები, სადაც მოვიწვიეთ მშობლებიც. სასწავლო მასალა დავყავი ეტაპებად.

6.2. განხორციელებული ინტერვენციები

6.2.ა. მოსწავლეთა ჩართვა საგნობრივ ოლიმპიადებში

მოსწავლეები განურჩევლად მათი აკადემიური მოსწრებისა ჩავრთე საგნობრივ ოლიმპიადებში. ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებისათვის როგორც სწავლისათვის საჭირო უნარების შეძენა, ისე გარემოს გამოცვლა, გამოცდილების მიღება-გაზიარება, მეგობრების შეძენა, სხვისი წარმატებისა პატივისცემა. საკუთარი სუსტი მხარეების დანახვა-გამოსწორება და სხვა. ასევე მშობლების მხრიდან რეალობის დანახვა, რომელთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მათი შვილის შესაძლებლობებს მასწავლებლები არასათანადოდ აფასებენ (ყველგან მასწავლებლის შვილებს რთავენ, მასწავლებლის შვილს მაღალ ქულებს უწერენ), ჩემის აზრით მშობლების მხრიდან ასეთი კომენტარებიც ახდენდნენ გავლენას მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე და მასწავლებლის მიმართ სანდოობაზე.

6.2.ბ. გაკვეთილის თემატიკის შესაბამისი ვიდეო/ფილმების ჩვენება

მოსწავლეების დახმარებით მოვიძიე გაკვეთილის თემის შესაბამისი ფილმები და სხვა ვიდეოები და გამოვიყენე სწავლის პროცესში. ჩემი მიზანი იყო, მოსწავლეებს განვითარებოდათ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციების შედარების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის უნარები, ასევე მოსწავლეებიც ჩამერთო სასწავლო რესურსების მოძიების პროცესში, რადგან უფრო მეტი იციან თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ და აქვთ მიდრეკილება ინტერნეტ რესურსებისაკენ.

6.2.გ. ცოცხალი ისტორიები, ნივთიერი წყაროები

ამ აქტივობას იშვიათად მივმართავდი, მაგრამ ამ კვლევის ფარგლებში ინტენსიური ხასიათი მივეცი და ვფიქრობ, რო ასეთ პრაქტიკულ სამუშაოში მოსწავლეების ჩართვა ყველაზე წარმატებული მეთოდი გამოდგა მოტივაციის ასამაღლებლად. რათქმაუნდა შესაბამისი თემატიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის შეგროვების მიზნით ვთხოვდი მოსწავლეებს სოფელში მცხოვრები ხანდაზმული და შუა ხნის ადამიანებიდან აეღოთ ინტერვიუ, ნებართვის შემთხვევაში ჩაეწერათ საუბარი, გადაეღოთ ფოტოები სოფლის მოსახლეობაში შემორჩენილ შრომისა თუ საბრძოლო იარაღებზე და საყოფაცხოვრებო ნივთებზე, ტანისამოსზე და შემდგომ გაკვეთილებზე გაეკეთებინათ პრეზენტაცია- განხილვა. ჩემს მიზანს წარმოადგენდა ბავშვებში მოტივაციის გააქტიურება, ინფორმაციის მოპოვების, დახარისხებისა და წარმოჩენის უნარების განვითარება , საზოგადოებასთან კომუნიკაციის, საჭირო კითხვარის მოფიქრებისა და მიღებული ინფორმაციის შემეცნების უნარების განვითარება. ბავშვებმა მოსახლეობისგან მოიპოვეს ზღვა მასალა: სხვადასხვა ხალხურ ტრადიციებზე, სიმღერებზე, რიტუალებზე, სამართლის აღსრულებაზე, რეპრესიებზე(რეპრესირებული ოჯახებიდან), მეორე მსოფლიო ომზე(ომის მონაწილეთა შთამომავლებიდან), კოლექტივიზაციაზე, გასული საუკუნის სწავლის მოდელზე და სხვა. ასევე შეაგროვეს ფოტომასალა: საოჯახო ხისა თუ თიხის ხელნაკეთი ნივთების, სამკაულების, ქალისა და მამაკაცის ტანისამოსისა და ფეხსაცმლის(ქალამნები), შრომისა და საბრძოლო იარაღების.

6.2.დ.ინტელექტუალური თამაშები

ინტელექტუალურ თამაშს წელიწადში ერთხელ ვაწყობდი, რომელიც უფრო გამარჯვებული გუნდის, ან მოსწავლის გარეგანი მოტივაციის დაკმაყოფილებას იწვევდა: მოეპოვებინა სიგელი, ჯილდო. რაც წაგებული გუნდის მოსწავლეთა ნაწილის მოტივაციაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მოსწავლეებთან გასაუბრების შემდეგ, უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით (სემესტრში ორჯერ ჩაგვეტარებინა სხვადასხვა თამაში და ვიქტორინა), მოვამზადე და განვახორციელე თამაშები, სადაც იყო როგორც სააზროვნო უნარებზე გამსვლელი კითხვები, ისე მხიარული თამაშები. ზოგიერთ თამაშებში მასწავლებლებიც ჩავრთე, რადგან მოსწავლეებში გამეღრმავებინა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების საჭიროების განცდა. გამარჯვებულ გუნდს ვურიგებდი თამაშში გამარჯვებულის, ხოლო დანარჩენ გუნდებს თამაშში აქტიური მონაწილეობის სიგელებს. ეს მათ წინასწარ ვაცნობე რადგან ჩემი მიზანი იყო მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება და არა ბრძოლა პირველობისათვის შეჯიბრის ხასიათის მიცემა.

6.2.ე.შესასწავლი მასალის დაყოფა

მოსწავლეთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი სასწავლო თემა ზედმეტად გაწელილია და ხშირად გაუგებარიც. მართლაც არის გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლისაგან ძღვა ინფორმაციის გადამუშავებას მოითხოვს, რაც უკლავთ სწავლის სურვილს (ამას რა ისწავლის). გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინე ზემოთ აღნიშნული სირთულეები და დიდი მოცულობის ტექსტები დავყე ეტაპებად და ისე მივეცი შესასწავლად, თანაც ვუხსნი მოსწავლეებს, თუ კონკრეტულად რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რას ველი მათგან, საზეპირო, მნიშვნელოვან თარიღებს და მოვლენებს მოკლედ ვწერთ წებოვან ფერად ფურცლებზე და ვაკრავთ კედელზე, რომ ხშირად მოხდეს მათი მხედველობის არეში და გაუადვილდეთ დამახსოვრება.

6.3.რეკომენდაციები:

- გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებითა და რესურსებით;

- ხშირად განახორციელეთ ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

6.4.ინტერვენციის შეფასება

ზემოთ აღნიშნულ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ დაძლეულ იქნა ის პრობლემა, რაც ჩემი კვლევის დაწყების მიზეზი იყო. ყოველივე გამოიხატა შემდეგში: მასწავლებლის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებმა დაინახეს ჩემი მხრიდან მცდელობა ყოველნაირად გამემრავალფეროვნებინა მათთვის სასწავლო გარემო და აქტივობები, ხშირად ვთხოვდი სასწავლო რესურსებისა და სხვა ტექნიკური მხარეების მოგვარებაში მათ დახმარებას, ვცდილობდი ხშირად გამომეყენებინა შექების ფორმები, იუმორით დამეძლევინებინა მათთვის რთული სიტუაციები, შემექმნა კლასში ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფერო და სხვა. ამ ყველაფერმა გაზარდა საგნის მიმართ მოსწავლეთა ინტერესი, გაუღვიძა პასუხისმგებლობის გრძნობა და შესაბამისად იმოქმედა მათ მოტივაციაზე და სწავლის ხარისხზე.

თავი VII.

7.1 რეფლექსია

პირად პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - „როგორ ავამაღლოთ მოტივაცია უფროსკლასელებში ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით“ ჩავატარე 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში. კვლევის თემა პრიორიტეტული იყო იმით, რომ კვლევის პროცესმა, კვლევის შედეგების ანალიზმა, განხორციელებულმა ინტერვენციებმა და ინტერვენციის შედეგებმა გვიჩვენა რაოდენ დიდია მასწავლებლის როლი საგნის სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით. მიუხედავათ ჩემი სხვადასხვა მეთოდებით მცდელობისა ამემაღლებინა მოსწავლეთა მოტივაცია საგნის მიმართ, ვხედავდი და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებიდანაც ჩანდა, რომ სასურველ მიზანს სრულად მაინც ვერ ვაღწევდი, ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული სიტუაციის გამოსასწორებლად ჩამეტარებინა კვლევა. საუბრები მქონდა როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე მასწავლებლებთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ ეს

პრობლემა მართლაც არსებობს და არა მხოლოდ ჩემს საგანში. მათ მომიწონეს კვლევის იდეა და გამომიცხადეს დახმარება კვლევის პერიოდში.

კვლევის შედეგების გასაცნობად შევიკრიბეთ 2019 წლის მაისის ბოლოს. კვლევის შედეგები გავაცანი poverpoint -ში გაკეთებული სლაიდშოუს საშუალებით, სადაც სრულად იყო ასახული საკვლევი მასალა, კვლევის მიზეზები, ეტაპები, ანალიზი და შედეგები, ასევე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგების გათვალისწინებით იყო რეკომენდაციები. შეხვედრისას საკვანძო საკითხებზე გაიმართა მსჯელობა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე საკვლევი საკითხი უფრო ფართო მასშტაბურია სკოლაში. შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა როგორც კვლევაში მონაწილე ყველა მასწავლებლისათვის, ისე დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებისთვისაც. ყველა თანამშრომელი ყურადღებას ადევნებდა კვლევის მიმდინარეობის ეტაპებს, ზოგიერთი მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა როგორც კვლევის ცალკეულ ეტაპებზე, ისე ინტერვენციის განხორციელებისა და რეკომენდაციების გაცემის დროს, ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ დიდი გამოცდილება მიიღეს შემდგომში საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის საწარმოებლად, ამასთანავე გაიზიარებენ კვლევის მიგნებებს საკუთარ პრაქტიკაში.

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებდა პრობლემის აქტუალობას, გამომწვევ მიზეზებსა და მათი გამოსწორების გზებს. ამ შემთხვევაში საყურადღებოა იმ აქტივობების განხორციელება სასწავლო პროცესში, რომელიც გამოიწვევს მოზარდებში საგნის მიმართ ინტერესს. განსაკუთრებული შედეგი გამოიღო ვიდეოფილმების გამოყენებამ საგაკვეთილო პროცესში და ასევე აქტივობამ:“ცოცხალი ისტორია, ნივთიერი წყაროები“, სადაც შევნიშნე, რომ ყველაზე მეტი იყო ჩართულობა, მოტივაცია და ინტერესი.

რადგან ჩემი მუშაობის პროცესში არ მქონდა კვლევის ჩატარების გამოცდილება წავაწყდი გარკვეულ წინააღმდეგობებს მუშაობის პროცესში. კერძოდ:

- გამიძნელდა კითხვარების შედგენა(ვინაიდან მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის თემა ძალზე სათუთია);
- პრევენციების ზოგიერთი აქტივობის განხორციელება(ვინაიდან ზოგიერთი თამაშები მოითხოვდა დროს და თანხებთან იყო დაკავშირებული. ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი სკოლის დირექციას).
- გამიძნელდა მონაცემთა ანალიზის შედეგების გამოსახვა დიაგრამების საშუალებით

ჩემთვის ეს კვლევა დიდი გამოცდილების მომტანი იყო. ძალიან ბევრი რამ დამანახა მშობლების, პედაგოგებისა და მოსწავლეების უკუკავშირმა, რასაც ყოველთვის გავითვალისწინებ.

დანართი 1. მოსწავლის ანკეტა

მოგესალმებით

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ატარებს პრაქტიკის კვლევას: „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება

1.არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?
ა) დიახ ბ) არა გ)ნაწილობრივ
2. მისაღებია თუ არა თქვენთვის ისტორიის სახელმძღვანელო?
ა) დიახ ბ)არა გ) ნაწილობრივ

3.არის თუ არა გამოყენებული გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები?
ა)დიახ ბ)არა გ) ნაწილობრივ

4.არის თუ არა დაძლევადი თქვენთვის სასწავლო აქტივობები?
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ

5.თვლით თუ არა რომ თქვენი შეფასება ობიექტურია?
ა) დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ

6.იყენებთ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს გაკვეთილზე?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად დ)არასდროს

7.იღებთ თუ არა მონაწილეობას შეფასების სქემების შემუშავებაში
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ) იშვიათად

8.ღებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად დ)არასდროს

9.როგორი დავალების შესრულება უფრო გირთულდებათ ?
ა)კითხვა-პასუხი ბ)ამოცანების ამოხსნა გ)პრეზენტაცია
დ) სხვა (ჩაწერეთ თქვენი აზრი

10.როდის უფრო ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

ა)ჯგუფური მუშაობის დროს ბ)დამოუკიდებლად მუშაობის დროს
გ)არ აქვს მნიშვნელობა დ)სხვა----------

11.როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა თქვენთვის
ა) ლექციური ბ)რესურსებით გამდიდრებული ბ)კითხვა პასუხის რეჟიმში დ)სულ ერთია

12.რომელი საგნის სწავლებას ანიჭებთ უპირატესობას?

13.რით არის ეს საგანი საინტერესო თქვენთვის? (ჩაწერეთ თქვენი აზრი)

14.რა გიშლით ხელს სწავლაში?
ა)სიზარმაცე ბ)დიდი მოცულობის გაკვეთილები გ)დავალების სირთულე
დ)არ მჭირდება ეს საგანი ე)სხვა----------

15. რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის სწავლის პროცესში?
ა)ცოდნის მიღება ბ)ქულის მიღება გ) ორივე დ) არც ერთი

18)თქვენი აზრით რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში და საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვაში?

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი 2. კითხვარები მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ატარებს პრაქტიკის კვლევას: „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით. თქვენი, როგორც მასწავლებლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება

1.არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?
ა)დიახ ბ)არა გ) ნაწილობრივ

2,იყენებთ თუ არა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს?
ა)ყოველთვის ბ) ხშირედ გ)იშვიათად

3.იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან რესურსებს?
ა) ყოველთვის ბ) ხშირად გ)იშვიათად

4. იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლების საშუალებებს?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

5.რამდენად ხშირად იყენებთ გაკვეთილზე ისტ-ს?
ა)ყოველთვის ბ)ხანდახან გ)არასდროს

6.იყენებთ თუ არა გაკვეთილზე ვიდეოფილმებს?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

7. ახდენთ თუ არა მოსწავლეთა დიფერენცირებას საგაკვეთილო პროცესში?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

8.ითვალისწინებთ თუ არა გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

9.აძლევთ თუ არა მოსწავლეს პოზიტიურ უკუკავშირს?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

10. რთავთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების სქემების შემუშავებაში?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

11. ხართ თუ არა ობიექტური მოსწავლეთა შეფასებისას?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

12. იყენებთ თუ არა გაკვეთილის დაგეგმვისას კონსტრუქტივისტულ მიდგომებს?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

13. აძლევთ თუ არა სათანადო ინსტრუქციებს მოსწავლეებს თითოეული აქტივობის შესრულების პროცესში?
ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

14 . თქვენი აზრით რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი?

15.როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში?

გმადლობთ მონაწილეობისათვის

დანართი 3. კითხვარები მშობლებისათვის

მოგესალმებით

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ატარებს პრაქტიკის კვლევას: „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ისტორიის სწავლებისას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება

1.არის თუ არა მშობლებსა და პედაგოგებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული?
ა)დიახ ბ) არა გ)ნაწილობრივ

2.თვლით თუ არა ,რომ თქვენი შვილი ყველა საგნის მიმართ ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს?
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ დ)არ ვიცი

3.იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან?
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ

4.როგორ ფიქრობთ სასწავლო პროცესის მიმართ თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატეხის ასაკი?
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ

5.თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი წინა წლებთან შედარებით
ა)გაუმჯობესდა ბ)გაუარესდა გ)არ შეცვლილა

6. რომელი საგნების მიმართ ამჟღავნებს დაინტერესებას თქვენი შვილი?
ა)ქართული ბ)მატემატიკა გ)ინგლისური დ)რუსული ე)ისტორია ვ)გეოგრაფია ზ)ქიმია თ)ფიზიკა ი)ბიოლოგია კ)სპორტი

7.რა დროს უთმობს თქვენი შვილი მეცადინეობას?
ა)0,5 სთ ბ)1 სთ გ)2 სთ და მეტს დ)საერთოდ არ მეცადინეობს

8.რა ფორმით იღებთ ინფორმაციას თქვენი შვილის შესახებ სკოლიდან?
ა)დავდივარ სკოლაში ბ)მაქვს სატელეფონო კავშირი მასწავლებლებთან გ)ვეკითხები ბავშვს დ)არ ვიღებ ინფორმაციას ე)სხვა ----------

9.რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში?
ა) თვეში ერთხელ ბ)ორ თვეში ერთხელ გ)სემესტრში ერთხელ დ)საერთოდ არ დავდივარ

10.რით არის დაკავებული თქვენი შვილი გაკვეთილების შემდეგ?
ა)მეხმარება საოჯახო საქმეებში ბ)დროის მეტ ნაწილს უთმობს ტელეფონს,კომპიუტერს,ტელევიზორს გ)თამაშობს თანატოლებთან ერთად დ)კითხულობს მხატ.ლიტერატურას

11თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი?

12.როგორ ფიქრობთ როგორ უნდა გავზარდოთ თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი?

გმადლობთ მონაწილეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწ. 2

2. (ცვატა ბერძენიშვილი2015 წელი ,,სტატიები სწავლის მოტივაციების გასაზრდელად'' http://mastsavlebeli.ge/?p=1528)

3. იყო სოფიო ლობჟანიძის სტატია “როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“

4. ,,სწავლება და შეფასება'' 2008 წელი.

5. (ესგ.2011-2016).

6. (ნარგიზაშვილი 2011. 1 :78)

7. (სასწავლო და პროფესიული გარემო. ნაწილი 3. გვ. 130).

8. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია,

9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი „მოტივაცია“